საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება N01-02/289

ქ. ბათუმი 09 დეკემბერი, 2022 წელი

,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის N01-08/25 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ–ს წესდების მე-13, 53-ე მუხლის, ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის 2022 წლის 9 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (MES 3 22 0001584295 09/12/2022) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში არჩევნების ჩატარების დებულების დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2014 წლის 20 ივნისის N01-08/25 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანებით დამტკიცებული **არჩევნების დებულების მე-16 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი** რედაქციით:

,,2. თუ დეკანის არჩევნების პირველ ტურში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ მიიღო ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის ხმათა უმრავლესობა, ინიშნება მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს პირველ ტურში გამოვლენილი საუკეთესო შედეგის მქონე ორი კანდიდატი. დეკანის არჩევნების მეორე ტური ტარდება **მე-4 სამუშაო დღეს**. მეორე ტურში არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს ფაკულტეტის საბჭოს სიითი შემადგენლობის უმრავლესობას. თუ მეორე ტურში არ გამოვლინდა გამარჯვებული კანდიდატი, ცხადდება ხელახალი არჩევნები უნივერსიტეტის წესდებისა და ამ დებულების შესაბამისად.".

2. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
3. დაევალოს ბსუ-ს საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) განათავსოს ბრძანება ამავე სამსახურთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე.
4. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეებს, მართვის ორგანოებს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია) და ბსუ-ს საუნივერსიტეტო საარჩევნო კომისიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

რექტორი, პროფესორი *მერაბ ხალვაში*